საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

2014

წლიური ანგარიში

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

2014

წლიური ანგარიში

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი, თამარ ბერუჩაშვილი

საქართველოს დიპლომატიური სამსახურის მიზანია საგარეო ასპარეზზე ქვეყნის ეროვნული ინტერესების გატარების გზით საქართველოს უსაფრთხოების, კეთილდღეობის, საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქეების უფლებების დაცვის უზრუნველყოფა და გლობალური უსაფრთხოებისა და მშვიდობის განმტკიცებაში საკუთარი წვლილის შეტანა.

ჩვენს მიერ გაწეული ძალისხმევა საქართველოს თითოეული მოქალაქის უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფას ემსახურება. წინამდებარე, რიგით მეორე საჯარო წლიური ანგარიშით გვსურს საქართველოს ფართო საზოგადოებასა და ჩვენს უცხოელ პარტნიორებს გავაცნოთ, ქვეყნის მთავარი დიპლომატიური უწყების - საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ 2014 წლის განმავლობაში განხორციელებული საქმიანობა.

სამინისტროს ცენტრალური აპარატისა და საზღვარგარეთ, საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების პროაქტიური, პრინციპული, კოორდინირებული და თანმიმდევრული მუშაობის შედეგად 2014 წელი განსაკუთრებით წარმატებული იყო ჩვენი ქვეყნის საგარეო პოლიტიკის მრავალი მიმართულებით:

- თვისებრივად ახალ ეტაპზე გადავიდა საქართველოსა და ევროკავშირს შორის ურთიერთობები - 2014 წლის 27 ივნისს ხელი მოეწერა ასოცირების შეთანხმებას, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის ჩათვლით. შეთანხმების ამოქმედებით ევროინტეგრაცია იქცა ქვეყნის საშინაო პოლიტიკის დღის წესრიგის ნაწილად და შეუქცევადი გახდა საქართველოს დემოკრატიული ტრანსფორმაციისა და ევროპეიზაციის პროცესი. კიდევ უფრო დავუახლოვდით ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის პერსპექტივას, გავაღრმავეთ ევროკავშირთან პოლიტიკური დიალოგი და თანამშრომლობა უსაფრთხოების სფეროში.
- მნიშვნელოვნად გაღრმავდა საქართველოსა და ჩრდილოატლანტიკური ალიანსის თანამშრომლობა - 2014 წლის ნატო-ს უელსის სამიტზე საქართველომ მიიღო ჩრდილოატლანტიკური ალიანსის „არსებით ღონისძიებათა პაკეტი“, რომლის მიზანი ქვეყნის თავდაცვითი შესაძლებლობების გაძლიერებასთან ერთად, საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანებისთვის მომზადებაა. გადაიდგა კონკრეტული ნაბიჯები ნატო-სთან პოლიტიკური დიალოგისა და პრაქტიკული თანამშრომლობის განვითარების მიმართულებით.
- წარმატებას მივაღწიეთ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილი მოსახლეობის საერთაშორისოდ აღიარებული უფლებების დაცვისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების არაღიარების პოლიტიკის მიმართულებით; რუსეთის მიერ ბოლო პერიოდში განხორციელებული დესტრუქციული მოქმედებების საპასუხოდ მოხდა საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერის მობილიზება; მოხერხდა ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების შეფერხებისა და კონსენსუსით შეთანხმებული ფორმატის შეცვლის მიმართულებით რუსეთის მიერ მოლაპარაკებების სამუშაო ჯგუფების ფარგლებში განხორციელებული უკანონო მცდელობების აღკვეთა.
- მნიშვნელოვნად გაძლიერდა ქვეყნის როლი საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში: 2014 წელს პირველად, საქართველო ჩაერთო ევროკავშირის კრიზისული სიტუაციების მართვის ოპერაციებში და განსაკუთრებული როლი შეასრულა ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში მიმდინარე ევროკავშირის მისიის წარმატებაში. ჩვენი ქვეყანა ნატო-ს არაწევრ სახელმწიფოთა შორის კვლავ უმსხვილესი კონტრიბუტორი იყო ავღანეთში მიმდინარე ISAF-ის ოპერაციაში. ამასთან, გაგრძელდა საქართველოს ძალისხმევა ტერორიზმთან ბრძოლის, ბირთვული უსაფრთხოების, შეიარაღებაზე კონტროლისა და განიარაღების უზრუნველყოფის მიმართულებით.

- კიდევ უფრო გაღრმავდა თანამშრომლობა ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორთან - ამერიკის შეერთებულ შტატებთან და გააქტიურდა ურთიერთობები მეზობელ სახელმწიფოებთან. 2014 წელი განსაკუთრებით გამოირჩეოდა ევროპის ქვეყნებთან თანამშრომლობის გაღრმავებით - წლის განმავლობაში საქართველოში განხორციელდა უმაღლესი და მაღალი დონის უპრეცედენტო რაოდენობის ვიზიტები. დინამიკურად ვითარდებოდა თანამშრომლობა აზიისა და აფრიკის ქვეყნებთან, ავსტრალიასა და ოკეანეთთან - დიპლომატიური ურთიერთობები დამყარდა რამდენიმე სახელმწიფოსთან და გაიზარდა ქვეყნის დიპლომატიური დაფარვის არეალი. საქართველომ კიდევ უფრო მეტი მხარდაჭერა შეიძინა ამერიკის კონტინენტის ქვეყნებისგან.
- განხორციელდა ინტენსიური თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან - გაერო-სთან, ეუთო-სთან, ევროპის საბჭოსთან, სუამ-თან, შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციასთან - ქვეყნის შიგნით მიმდინარე დემოკრატიული რეფორმების წარმატების, კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების, ოკუპირებულ რეგიონებში უსაფრთხოებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმების უზრუნველსაყოფად, მათი როლის გაზრდის მიმართულებით.
- საქართველოს საინვესტიციო მიმზიდველობისა და ცნობადობის გაზრდის მიზნით კიდევ უფრო გააქტიურდა მუშაობა ეკონომიკური და კულტურული დიპლომატიის მიმართულებით.
- გადაიდგა ნაბიჯები საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეების უფლებებისა და ინტერესების უკეთ დაცვის მიზნით; ასევე დიპლომატებისა და საჯარო მოხელეების უწყვეტი პროფესიული განვითარების უზრუნველყოფის მიმართულებით. აღსანიშნავია, რომ 2014 წელს კიდევ უფრო ინტენსიური გახდა თანამშრომლობა საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსთან.

საგარეო პოლიტიკის სფეროში საქართველოს ცალსახა წარმატებების მიუხედავად, ქვეყანა კვლავ რჩება სერიოზული გამოწვევებისა და საფრთხეების პირისპირ. მათ შორის, უმთავრესია რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია და ანექსიისკენ მიმართული ქმედებები. რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობებში ჩვენ განვაგრძობთ დეესკალაციის პოლიტიკის გატარებას ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის პრინციპის სრული და უპირობო დაცვით. ჩვენი კონსტრუქციული მიდგომისა და ორ ქვეყანას შორის სავაჭრო-ეკონომიკურ და კულტურის სფეროებში მიღწეული პოზიტიური დინამიკის მიუხედავად, რუსეთი კვლავ განაგრძობს დესტრუქციულ ქმედებებს მის მიერ ოკუპირებულ საქართველოს რეგიონებში მავთულხლართების გავლებითა და საოკუპაციო ხაზის გადმოწევით საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებული ტერიტორიის სიღრმეში, ასევე ოკუპირებულ რეგიონებში ადამიანის უფლებების სისტემატურ დარღვევას. უფრო მეტიც, რუსეთმა 2014 წლის შემოდგომაზე სოხუმის საოკუპაციო რეჟიმთან დადო ე.წ. „მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის“ შესახებ ხელშეკრულება, რაც საქართველოს რეგიონების ანექსიისკენ გადადგმული ნაბიჯია. ამ ფონზე ჩვენი განსაკუთრებული ძალისხმევა მიმართულია დიპლომატიური არხების მაქსიმალური გამოყენებით საქართველოსადმი საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერის კონსოლიდირებისაკენ, რათა გატარდეს ქმედითი ღონისძიებები საზღვრების უკანონო და ძალისმიერი გზით შეცვლის აღკვეთისა და პრევენციისთვის.

ბოლოს, მინდა, მადლობა გადავუხადო საგარეო საქმეთა სამინისტროს ცენტრალური აპარატისა და საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების უკლებლივ ყველა თანამშრომელს დაუღალავი მუშაობისა და განხორციელებული ძალისხმევისთვის და ჩვენს უცხოელ პარტნიორებს მხარდაჭერისა და ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის, რამაც შესაძლებელი გახადა ქართული დიპლომატიის წარმატება 2014 წელს.

2014 - საქართველოს საგარეო პოლიტიკის სფეროში უპრეცედენტოდ წარმატებული წელი

საქართველოს მთავრობის, მათ შორის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ განხორციელებული ძალისხმევისა და პარტნიორ ქვეყნებთან და ორგანიზაციებთან მუშაობის შედეგად 2014 წელი განსაკუთრებით წარმატებული იყო საგარეო პოლიტიკის სფეროში:

- საქართველოსა და ევროკავშირს შორის ხელი მოეწერა ასოცირების შეთანხმებას;
- ასოცირების შეთანხმების რატიფიცირება ამ ეტაპზე მოახდინა ევროპარლამენტმა და ევროკავშირის 11-მა სახელმწიფომ;
- საქართველო გადავიდა ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის მეორე - დასკვნით ფაზაზე;
- უელსის სამიტზე გადაწყდა საქართველოსთვის „არსებით ღონისძიებათა პაკეტის“ შემუშავება, რითაც ჩვენი ქვეყანა უფრო მეტად დაუახლოვდა ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს;
- შემცირდა საქართველოს ოკუპირებული რეგიონების აღიარებათა რიცხვი - ტუვალუმ უარყო 2011 წელს მიღებული უკანონო გადაწყვეტილება და ცალსახად დაადასტურა საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ერთმნიშვნელოვანი მხარდაჭერა;
- 7 ქვეყნით გაიზარდა იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა სტატუსის შესახებ გაერო-ს რეზოლუციის მხარდამჭერთა რაოდენობა და შემცირდა რეზოლუციის მოწინააღმდეგეთა რიცხვი;
- საქართველომ დიპლომატიური ურთიერთობები დაამყარა 5 ქვეყანასთან. სადღეისოდ საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობები აკავშირებს 183 სახელმწიფოსთან;
- გლობალური უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში კიდევ უფრო გაიზარდა საქართველოს წვლილი:
  - 2014 წელს საქართველომ პირველად მიიღო მონაწილეობა ცენტრალურ აფრიკაში მიმდინარე ევროკავშირის სამშვიდობო ოპერაციაში;
  - ჩვენი ქვეყანა განაგრძობდა აქტიურ მონაწილეობას ავღანეთში მიმდინარე ნატო-ს სამშვიდობო ოპერაციაში.
- საქართველოს მიენიჭა წარმომადგენლის სტატუსი „კარიბეთის თანამეგობრობაში“;
- ჩვენი ქვეყანა გახდა ასოცირებული წევრი „პორტუგალიურენოვანი ქვეყნების თანამეგობრობაში“;
- 2014 წელს საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ განხორციელდა უმაღლესი და მაღალი დონის უპრეცედენტო რაოდენობის ვიზიტები. მათ შორის, საქართველოს ეწვია 18 საგარეო საქმეთა მინისტრი და 2 ევროპულ საქმეთა მინისტრი; განსაკუთრებით აღსანიშნავია საფრანგეთისა და ეუთო-ს თავმჯდომარე ქვეყნის, შვეიცარიის პრეზიდენტების სტუმრობა; გერმანიისა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრების ერთობლივი, ასევე ავღანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი ვიზიტი თბილისში;
- ინტენსიური გახდა საქართველოში საპარლამენტო დელეგაციების ვიზიტები. მათ შორის, 2014 წელს თბილისს ეწვია ევროპარლამენტის 10 და აშშ-ს კონგრესის 6 დელეგაცია;
- კიდევ უფრო გააქტიურდა ძალისხმევა ეკონომიკური დიპლომატიის მიმართულებით:

- საქართველოს ეწვია 16 ქვეყნის ბიზნესდელეგაცია და გაიმართა 17 ბიზნესფორუმი. ასევე განხორციელდა აქტიური თანამშრომლობა 100-ზე მეტ საერთაშორისო ორგანიზაციასთან;
- ისტორიული აბრეშუმის გზის გააქტიურების მიზნით, შემუშავდა კონცეფცია.

- წარიმართა მუშაობა მრავალფეროვანი ქართული კულტურის წარმოჩენის მიზნით:
  - განხორციელდა 5-მდე მსხვილი პროექტი, 20-მდე კულტურული ღონისძიება და 15 მცირებიუჯეტიანი პროექტი;
  - დამტკიცდა თურქეთის სკოლებში ქართული ენის სწავლების პროგრამა - თურქეთში მცხოვრებ ქართულ მრავალრიცხოვან დიასპორას 4 საუკუნის განმავლობაში პირველად მიეცა ქართული ენის შესწავლის საშუალება.

2014 წელი ისტორიული იყო ევროკავშირთან ინტეგრაციის მხრივ

27 ივნისს, საქართველოსა და ევროკავშირს შორის ხელი მოეწერა ასოცირების შეთანხმებას – საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები თვისებრივად ახალ ეტაპზე გადავიდა. შედეგად, ევროინტეგრაცია გახდა ჩვენი ქვეყნის არა მხოლოდ საგარეო, არამედ საშინაო პოლიტიკის პრიორიტეტი.

- ევროპარლამენტმა და ევროკავშირის 11-მა ქვეყანამ - ბულგარეთმა, დანიამ, ესტონეთმა, ლატვიამ, ლიტვამ, მალტამ, რუმინეთმა, სლოვაკეთმა, უნგრეთმა, შვედეთმა და ხორვატიამ - მოახდინა ასოცირების შესახებ შეთანხმების რატიფიცირება.
- დამტკიცდა ასოცირების შეთანხმების განსახორციელებლად საჭირო საქართველოსა და ევროკავშირის ერთობლივი პრიორიტეტების ნუსხა - საქართველო-ევროკავშირის „ასოცირების დღის წესრიგი 2014-2016 წწ.“
- ასოცირების შეთანხმების ძალაში სრულად შესვლამდე, 2014 წლის პირველი სექტემბრიდან დაიწყო შეთანხმების უდიდესი ნაწილის (დაახლოებით 80%) დროებითი გამოყენება, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის (DC FTA) კომპონენტის ჩათვლით.

კიდევ უფრო ახლო და რეალური გახდა ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის პერსპექტივა:

შესრულდა ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის პირველი ფაზით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნა. ევროკავშირის საბჭოს გადაწყვეტილებით საქართველო გადავიდა გეგმის მეორე – დასკვნით ფაზაზე.

ჩვენი ამოცანაა – „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ რიგის სამიტამდე (2015წ.) დასრულდეს სამოქმედო გეგმის იმპლემენტაცია, რაც ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის ძირითად წინაპირობას წარმოადგენს.

გაღრმავდა ევროკავშირთან პოლიტიკური დიალოგი:

2014 წლის განმავლობაში ბრიუსელსა და თბილისში, საქართველოსა და ევროკავშირის წარმომადგენლების მონაწილეობით გაიმართა არაერთი უმაღლესი და მაღალი დონის ვიზიტი.

- ბრიუსელში გაიმართა უპრეცედენტო შეხვედრა ევროკომისიის კოლეგიასა და საქართველოს მთავრობას შორის;
- ევროკავშირის საბჭოს მომავალი თავმჯდომარე ქვეყნის - ლატვიის ინიციატივით, ლუქსემბურგში გაიმართა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის შეხვედრა ევროკავშირის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებთან:
- გაიმართა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების საბჭოს პირველი სხდომა, რომელზეც დამტკიცდა თანამშრომლობის ახალი ინსტიტუციური ჩარჩო: ასოცირების საბჭო, ასოცირების კომიტეტები და დარგობრივი ქვეკომიტეტები.
- ევროპარლამენტმა მიიღო საქართველოს შესახებ რეზოლუცია, რომლითაც:
  - მიესალმება ევროკავშირთან დაახლოების მიმართულებით საქართველოს მიერ მიღწეულ პროგრესს და ქვეყანაში მიმდინარე რეფორმებს;
  - მხარს უჭერს საქართველოსთან უვიზო რეჟიმის დროულად შემოღებას და საქართველოს ევროპულ პერსპექტივას;
  - ხაზს უსვამს, რომ საქართველოს, როგორც ნებისმიერ ევროპულ სახელმწიფოს, შეუძლია წარადგინოს განაცხადი ევროკავშირის წევრობაზე.
- ევროპული ღირებულებებისადმი საქართველოს ერთგულებას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ 2014 წლის განმავლობაში სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის ფარგლებში ევროკავშირის 322 განცხადებიდან, საქართველო მიუერთდა - 252-ს.

განვითარდა ევროკავშირთან ურთიერთობები უსაფრთხოების სფეროში:

- საქართველო ჩაერთო ევროკავშირის კრიზისული სიტუაციების მართვის ოპერაციებში და პირველად მიიღო მონაწილეობა ევროკავშირის მიერ ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში წარმოებულ სამშვიდობო მისიაში;
- საქართველოს მთავრობასა და ევროკავშირს შორის 2014 წელს დაიწყო მოლაპარაკებები საიდუმლო ინფორმაციის გაცვლის შესახებ შეთანხმების გაფორმების მიზნით.

საქართველომ ევროკავშირისგან მნიშვნელოვანი ფინანსური დახმარება მიიღო:

- ევროკავშირის დახმარების ეროვნული ინდიკატური პროგრამის ფარგლებში საქართველოს გამოეყო 82 მილიონი ევრო. ამასთან ხელი მოეწერა ევროკავშირის სტრატეგიული დახმარების ჩარჩო-პროგრამის ურთიერთგაგების მემორანდუმს. მის ფარგლებში საქართველო 2014-2017 წწ. 410 მილიონ ევრომდე დახმარებას მიიღებს მართლმსაჯულების სექტორის გაძლიერების, სახელმწიფო მმართველობის რეფორმის, სოფლის მეურნეობის განვითარების, საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების განხორციელებისა და სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერის მიმართულებებით.

გადაიდგა ნაბიჯები ნატო-ში გაწევრიანების მიმართულებით

დინამიკურად განვითარდა პოლიტიკური დიალოგი და პრაქტიკული თანამშრომლობა, არსებული ინსტრუმენტების – ნატო-საქართველოს კომისიისა (NGC) და წლიური ეროვნული პროგრამის (ANP) გამოყენებით:

- 2014 წლის განმავლობაში ჩატარდა ნატო-საქართველოს კომისიის 16 შეხვედრა, მათგან: 2 - საგარეო საქმეთა მინისტრების, 1 - თავდაცვის მინისტრების დონეზე;
- პირველად ნატო-საქართველოს ურთიერთობების ისტორიაში საქართველოს ეწვია ნატო-ს სამხედრო კომიტეტი, რამაც თანამშრომლობის ახალ ეტაპს ჩაუყარა საფუძველი.

ნატო-ს უელსის სამიტი ისტორიული მნიშვნელობის იყო საქართველოსთვის. მისთვის მომზადებას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო:

- სამიტზე საქართველოს საკითხის სათანადოდ ასახვის მიზნით:
  - საგარეო საქმეთა მინისტრი ნატო-ს წევრი ქვეყნის თითქმის ყველა კოლეგას შეხვდა;
  - შეიქმნა უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი, რომელმაც აქტიური კონსულტაციები გამართა ნატო-ს წევრი ქვეყნების თითქმის ყველა დედაქალაქში.

უელსის სამიტზე გადაწყდა:



- ნატო-ში გაწევრიანებისთვის ჩვენი ქვეყნის მომზადებისა და თავდაცვითი შესაძლებლობების განვითარების მიზნით საქართველოსთვის „არსებით ღონისძიებათა პაკეტის“ შემუშავება;

„არსებით ღონისძიებათა პაკეტი“ ითვალისწინებს ნაბიჯებს/ღონისძიებებს, რომლებიც მნიშვნელოვნად გააღრმავებს თავდაცვისა და სამხედრო სფეროში ნატო-საქართველოს ურთიერთობებს:

- ნატო-საქართველოს ერთობლივი საწვრთნელი ცენტრის ჩამოყალიბება;
- ნატო-ს სამეკავშირეო ოფისის გაძლიერება;
- საქართველოში ნატო-საქართველოს ერთობლივი, რეგულარული წვრთნების ჩატარება;
- ქვეყანაში ლოგისტიკური/სატრანზიტო ინფრასტუქტურის განვითარება.

- საქართველოს „პარტნიორობის თავსებადობის ინიციატივაში“ და „გაძლიერებული შესაძლებლობების ჯგუფში“ მიწვევა.

სამიტის დასკვნით კომუნიკეში მოკავშირეებმა:

- გამოხატეს მხარდაჭერა ღია კარის პოლიტიკისა და კონკრეტულად, ბუქარესტში მიღებული გადაწყვეტილებისადმი, რომ „საქართველო გახდება ალიანსის წევრი“;
- გამოთქვეს მადლიერება ISAF-ის ოპერაციაში ქვეყნის მიერ შეტანილი ძალზე ღირებული წვლილისთვის;
- გამოხატეს მტკიცე და ურყევი მხარდაჭერა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და ოკუპირებული რეგიონების არაღიარების პოლიტიკისადმი;
- მოუწოდეს რუსეთის ფედერაციას, შეიარაღებული ძალების საქართველოდან გაყვანისა და ძალის არგამოყენების ვალდებულების აღებისაკენ.

- სამიტის მონაწილეთა შორის საქართველო იყო ნატო-ს არაწევრი ერთადერთი ქვეყანა, რომელიც მონაწილეობდა სამიტის ფარგლებში, მოკავშირეების მიერ არაწევრ ქვეყნებთან გამართულ ყველა შეხვედრაში:
  - განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო საქართველოს მონაწილეობა 28+4 ფორმატის შეხვედრაში, რომელშიც მოკავშირეები და ნატო-ს 4 ასპირანტი ქვეყანა - საქართველო, ბოსნია-ჰერცეგოვინა, იუგოსლავიის ყოფილი რესპუბლიკა მაკედონია და მონტენეგრო - იყვნენ წარმოდგენილნი.

გაძლიერდა საქართველოს წვლილი საერთაშორისო მშვიდობისა და სტაბილურობის განმტკიცების საქმეში

საქართველომ პირველად მიიღო მონაწილეობა ევროკავშირის მისიაში:

- 2014 წელს, პირველად, საქართველო ჩაერთო ევროკავშირის კრიზისული სიტუაციების მართვის ოპერაციებში. ჩვენი ქვეყნის შეიარაღებულმა ძალებმა მონაწილეობა მიიღო ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში ევროკავშირის მიერ წარმოებულ სამშვიდობო მისიაში და განსაკუთრებული წვლილი შეიტანა ქვეყანაში სტაბილურობის აღდგენის უზრუნველყოფის პროცესში:
  - ევროკავშირმა საქართველოს წვლილი უაღრესად დადებითად შეაფასა. მისი თხოვნით, ჩვენი ქვეყნის შეიარაღებული ძალების მონაწილეობა, მოდიფიცირებული სახით, დამატებით სამი თვით გახანგრძლივდა.

გაგრძელდა ჩვენი ქვეყნის მონაწილეობა ნატო-ს მისიებში:

- ქართველი სამხედროები მოკავშირეებთან ერთად მსახურობდნენ ავღანეთის ერთ-ერთ ყველაზე ცხელ წერტილში - ჰელმანდის პროვინციაში. ჩვენი ქვეყანა 2015 წლიდან მონაწილეობას მიიღებს ავღანეთში ნატო-ს ახალ მისიაში - „მტკიცე მხარდაჭერა“;

- 2014 წ. მიღებული გადაწყვეტილებით, 2015 წლიდან საქართველო შეუერთდება ნატო-ს სწრაფი რეაგირების ძალებს:
  - საქართველო ნატო-ს არაწევრი მეოთხე ქვეყანაა, რომელიც ჩაერთვება ნატო-ს სწრაფი რეაგირების ძალებში.

ჩვენმა ქვეყანამ საკუთარი წვლილი შეიტანა ტერორიზმთან ბრძოლაში:

- საქართველომ მხარი დაუჭირა საერთაშორისო თანამეგობრობის ძალისხმევას ტერორისტული ორგანიზაციის - „ერაყისა და ლევანტის ისლამური სახელმწიფო“ (ISIL) წინააღმდეგ ბრძოლაში და მზაობა გამოხატა, ჩაერთოს საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ განხორციელებულ ჰუმანიტარულ ძალისხმევაში:
  - საქართველოს დელეგაცია მონაწილეობდა ბრიუსელში, საგარეო საქმეთა მინისტრთა დონეზე გამართულ, ISIL-ის წინააღმდეგ გლობალური კოალიციის პირველ პლენარულ სესიაში, რომელზეც მიიღეს ერთობლივი განცხადება - იგი ადასტურებს პარტნიორთა მზაობას, ერთიანი ძალებით იმოქმედონ მის წინააღმდეგ, საერთო, მრავალმხრივი და გრძელვადიანი სტრატეგიის ფარგლებში.

განხორციელდა ძალისხმევა ბირთვული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად:

- საქართველოს დელეგაცია, პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით, მონაწილეობდა ჰააგაში გამართულ, ბირთვული უსაფრთხოების მესამე სამიტში, რომელზეც დაისახა კონკრეტული ამოცანები ბირთვული უსაფრთხოებისა და დაცულობის საკითხში საერთაშორისო თანამშრომლობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით.

საქართველომ მონაწილეობა მიიღო შეიარაღებაზე კონტროლისა და განიარაღების უზრუნველსაყოფად:

- ნიუ-იორკში, გაერო-ს გენერალური ასამბლეის 69-ე სესიის ფარგლებში, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ხელი მოაწერა ხელშეკრულებას იარაღით ვაჭრობის შესახებ, რომელიც:
  - ადგენს საერთაშორისო სტანდარტებს ჩვეულებრივი შეიარაღებით ვაჭრობის სფეროში და აწესებს მთელ რიგ ვალდებულებებსა და შეზღუდვებს.
- საქართველოში ძალაში შევიდა იარაღისა და ორმაგი დანიშნულების საქონლის შესახებ ახალი კანონი, ასევე მეორადი კანონმდებლობა და ექსპორტისა და იმპორტის კონტროლს დაქვემდებარებული ორმაგი დანიშნულების საქონლის ნუსხები:
  - კანონმდებლობა წარმოადგენს საქართველოს უწყებათაშორისი ჯგუფის, მათ შორის საგარეო საქმეთა სამინისტროს შესაბამისი ექსპერტების რამდენიმეწლიანი მუშაობის შედეგს.

კიდევ უფრო გაღრმავდა ურთიერთობები ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორთან – ამერიკის შეერთებულ შტატებთან

შედგა უმაღლესი და მაღალი დონის ვიზიტები:

- გაიმართა საქართველოს პრემიერ-მინისტრის პირველი ოფიციალური ვიზიტი ვაშინგტონში:
  - შეხვედრები შედგა აშშ-ს ხელისუფლების ყველა შტოს წარმომადგენელთან: პრეზიდენტთან, ვიცე-პრეზიდენტთან, სახელმწიფო მდივანთან, 30-ზე მეტ გავლენიან კონგრესმენთან, სენატორთან, აღმასრულებელი ხელისუფლების, ბიზნესწრეების, მასმედიისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან.

- აშშ-ში განხორციელდა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ვიზიტი;
- საქართველოში შედგა აშშ-ის თავდაცვის მდივნის ვიზიტი;
- ეუთო-ს მინისტერიალის ფარგლებში, გაიმართა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის შეხვედრა აშშ-ის სახელმწიფო მდივანთან.

- შეხვედრებისას გამოიხატა სრული მხარდაჭერა საქართველოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის, სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის, დემოკრატიის განვითარების, ეკონომიკური გაძლიერების, ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციისადმი;
- დაიგეგმა ერთობლივი მუშაობა, უელსის სამიტზე მიღებული გადაწყვეტილების დროულად შესრულების მიზნით.

გაგრძელდა აქტიური თანამშრომლობა აშშ–ის კონგრესთან:

- შედგა რესპუბლიკელი და დემოკრატი, გავლენიანი სენატორებით, კონგრესმენებით და კომიტეტების წამყვანი მრჩევლებით დაკომპლექტებული დელეგაციების რამდენიმე ვიზიტი საქართველოში, რომლის ფარგლებში დელეგაციის წევრებმა მოინახულეს ცხინვალის რეგიონის საოკუპაციო ხაზი და რუსეთის მიერ აღმართული მავთულხლართები.
- კონგრესმა მიიღო საქართველოს მხარდამჭერი 2 რეზოლუცია, რითაც კიდევ ერთხელ დადასტურდა აშშ-ის კონგრესის ორპარტიული მხარდაჭერა საქართველოსადმი.

გაიმართა აშშ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის პლენარული სესია:

- გამოიხატა მტკიცე მხარდაჭერა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტისადმი და მზაობა საქართველოში დემოკრატიული რეფორმების განხორციელების მიმართულებით დახმარების გაგრძელების თაობაზე;

- დადებითად შეფასდა საქართველოს მიერ გაწეული ძალისხმევა თავდაცვის სფეროში მიმდინარე რეფორმებისა და ნატო-სთან თავსებადობის საკითხში; საქართველოს წვლილი ნატო-ს საერთაშორისო უსაფრთხოების ძალების ეგიდით წარმოებულ ავღანეთის მისიაში; ძალისხმევა ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ მოსახლეობასთან ურთიერთობების გაღრმავების კუთხით;
- აშშ-მ გააჟღერა დახმარების ახალი ინიციატივა, რომელიც ხელს შეუწყობს საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური კურსის განხორციელებას, განსაკუთრებით ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის მიღწევასა და იმ ღონისძიებებს, რომელიც ასევე უზრუნველყოფს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობისთვის პრაქტიკულ სარგებელს.

გაიმართა სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის 3 სამუშაო ჯგუფის - დემოკრატიისა და მმართველობის; ეკონომიკის, ვაჭრობისა და ენერგეტიკის; ასევე ხალხთაშორისი ურთიერთობებისა და კულტურული გაცვლების - მორიგი შეხვედრები:

- დაიგმო საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების ადმინისტრაციულ საზღვრებთან, რუსეთის მიერ მიმდინარე ე.წ. „ბორდერიზაციის“ პროცესი, რომელიც ეწინააღმდეგება რუსეთის მიერ საერთაშორისოდ აღიარებულ ვალდებულებებს;
- გამოიხატა თანადგომა ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის/სამხრეთ ოსეთის რეგიონებში მცხოვრებ მოსახლეობასთან ურთიერთობების გაღრმავების, გააქტიურების ძალისხმევისა და საქართველოს დემოკრატიული განვითარებისადმი;
- გამოიხატა სრული მხარდაჭერა ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების ფორმატისადმი - როგორც, უმნიშვნელოვანესი მექანიზმისადმი, რომელიც ადგილზე უსაფრთხოებისა და ჰუმანიტარული საკითხების მიმართულებებით პროგრესს უზრუნველყოფს;
- აშშ-მ დადებითად შეაფასა საქართველოს მიერ განხორციელებული დემოკრატიული რეფორმები;
- გამოიხატა მხარდაჭერა საქართველოს ძალისხმევისადმი, რომელიც ქვეყნის, ბიზნესის, ვაჭრობისა და ლოგისტიკის რეგიონულ ცენტრად ტრანსფორმირებას გულისხმობს;
- გადაწყდა „ფლექსის“ პროგრამაში მონაწილე ქართველი სტუდენტებისთვის განკუთვნილი ადგილების 33%-ით გაზრდა, ხოლო აშშ-ის მშვიდობის კორპუსის მოხალისეების რაოდენობის - 23%-ით, რომლებიც განთავსდებიან საქართველოს იმ რეგიონებშიც, სადაც 2008 წლის შემდეგ არ ჰქონდათ წვდომა;
- შეთანხმდა გაგრძელდეს მუშაობა, მაღალი დონის ვაჭრობისა და საინვესტიციო დიალოგის ფარგლებში, მათ შორის, მომავალში აშშ-სთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების გაფორმების მიმართულებით;
- გადაწყდა, რომ 2015 წელს საფუძველი ჩაეყრება ახალ სპორტულ გაცვლით პროგრამას აშშ-სა და საქართველოს შორის.

განხორციელდა აქტიური ძალისხმევა საქართველოს სუვერენიტეტის განმტკიცებისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მიმართულებით

გადაიდგა ნაბიჯები ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილი მოსახლეობის საერთაშორისოდ აღიარებული უფლებების დასაცავად:

- გაერო-ს გენერალური ასამბლეის 69-ე სესიის ფარგლებში მიიღეს რეზოლუცია „აფხაზეთიდან, საქართველო და ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთი ოსეთი, საქართველო იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა სტატუსის შესახებ":
  - რეზოლუცია გმობს საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში ძალისმიერი გზით განხორციელებულ დემოგრაფიულ ცვლილებებს;
  - ხაზს უსვამს, ეთნიკური კუთვნილების მიუხედავად, საკუთარ სახლებში ღირსეული და უსაფრთხო დაბრუნების აუცილებლობას;
  - ყურადღებას ამახვილებს დევნილთა საკუთრების უფლების პატივისცემისა და დაცვის აუცილებლობაზე:
    - რეზოლუციის მომხრეთა რიცხვი 2014 წელს, 7 ერთეულით, 69 სახელმწიფომდე გაიზარდა. მხარდამჭერთა რიგებს შეემატა: კირიბატი, მავრიკი, მექსიკა, პაპუა-ახალი გვინეა, საუდის არაბეთი, სოლომონის კუნძულები და ჰაიტი.
    - მხარდამჭერ პოზიციას დაუბრუნდა: კოსტა-რიკა, ლიბერია, უკრაინა და ჰონდურასი.
    - არ გაზრდილა რეზოლუციის მოწინააღმდეგეთა რიცხვი - მათი რაოდენობა შემცირდა. მათ შორის, სერბეთმა, წინა წლებისგან განსხვავებით, კენჭისყრისას თავი შეიკავა.

შემცირდა იმ სახელმწიფოთა რაოდენობა, რომლებმაც საქართველოს ოკუპირებული რეგიონების დამოუკიდებლობა აღიარეს:

- საქართველოსა და ტუვალუს შორის ხელი მოეწერა დიპლომატიური და საკონსულო ურთიერთობების დამყარების შესახებ ოქმს:
  - ტუვალუმ უარყო 2011 წელს მიღებული უკანონო გადაწყვეტილება საქართველოს ოკუპირებული რეგიონების ე.წ. დამოუკიდებლობის აღიარების თაობაზე. მან ცალსახად დაადასტურა საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ერთმნიშვნელოვანი მხარდაჭერა და საერთაშორისო სამართლის პრინციპების პატივისცემა.

რუსეთის ფედერაციასა და სოხუმის საოკუპაციო რეჟიმს შორის „მოკავშირეობის და სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ" ე.წ. „შეთანხმების" გაფორმების საპასუხოდ მოხერხდა საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერის მობილიზება:

- საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდამჭერი განცხადებები გააკეთეს და რუსეთის ფედერაციის ქმედება დაგმეს:
  - ნატო-ს გენერალურმა მდივანმა, ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხებში, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის საქართველოზე თანამომხსენებ-ლებმა და ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების კონგრესის პრეზიდენტმა;

- ავსტრიის, აშშ-ის, ბულგარეთის, გერმანიის, დანიის, ესტონეთის, იაპონიის, ლატვიის, ლიტვის, ნორვეგიის, პოლონეთის, პორტუგალიის, რუმინეთის, სლოვაკეთის, სლოვენიის, უკრაინის, ჩეხეთის საგარეო უწყებებმა;
- ევროპარლამენტმა - საქართველოს შესახებ მიღებული რეზოლუციით.
- ჩეხეთის რესპუბლიკის სენატმა - რეზოლუციით;
- ბალტიის ასამბლეის პრეზიდიუმმა - ოფიციალური განცხადებით;
- გაერო-ს უშიშროების საბჭოს სხდომაზე ავსტრალიამ, აშშ-მ, დიდმა ბრიტანეთმა, ლიტვამ და საფრანგეთმა უკრაინაში რუსეთის მიერ განხორციელებული აგრესიის საკითხთან ერთად:
  - დაგმეს რუსეთის მიერ სოხუმის საოკუპაციო რეჟიმთან გაფორმებული ე.წ. „ხელშეკრულება“;
  - გამოთქვეს შეშფოთება ცხინვალის რეგიონში ანალოგიური „ხელშეკრულების“ ხელმოწერის საფრთხის გამო;
  - მკაფიოდ გამოხატეს საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტისადმი მხარდაჭერა.

2014 წლის განმავლობაში გაიმართა ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების ოთხი რაუნდი:

საქართველოსა და თანათავმჯდომარეების ერთობლივი ძალისხმევის შედეგად აღიკვეთა რუსეთის ფედერაციის მიერ სამუშაო ჯგუფების ფარგლებში განხორციელებული უკანონო მცდელობები მოლაპარაკებების შეფერხებისა და კონსენსუსით შეთანხმებული ფორმატის შესაცვლელად.

- მოლაპარაკებების ფარგლებში ქართველმა მონაწილეებმა მწვავედ დააყენეს რუსეთის ფედერაციასა და სოხუმის საოკუპაციო რეჟიმს შორის გაფორმებული ე.წ. „მოკავშირეობისა და სტრატეგიული თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულების“ უკანონობისა და მისგან მომდინარე საფრთხეების საკითხი. ქართული მხარე მუდმივად მოითხოვდა რუსეთის ფედერაციის მიერ ძალის არგამოყენების შესახებ ვალდებულების აღებას. მოლაპარაკებების ფარგლებში რეგულარულად განიხილებოდა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული მძიმე ჰუმანიტარული მდგომარეობა და დევნილთა უსაფრთხოდ და ღირსეულად დაბრუნების საკითხი.

ევროკავშირის გადაწყვეტილებით, საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მანდატი 2 წლის ვადით – 2016 წლის 14 დეკემბრამდე გაგრძელდა.

კიდევ უფრო გააქტიურდა ურთიერთობები მეზობელ ქვეყნებთან





საგრძნობლად გაიზარდა მეზობელ სახელმწიფოებთან უმაღლესი და მაღალი დონის ვიზიტების და პოლიტიკური კონსულტაციების დინამიკა.

- საქართველოს ეწვივნენ:
  - თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი და პარლამენტის თავმჯდომარე;
  - სომხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი და პარლამენტის თავმჯდომარე.
- აზერბაიჯანის რესპუბლიკას სტუმრობდა საქართველოს პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი (2-ჯერ) და პარლამენტის თავმჯდომარე;
- თურქეთის რესპუბლიკას - პრეზიდენტი (2-ჯერ), პრემიერ-მინისტრი და საგარეო საქმეთა მინისტრი;
- სომხეთის რესპუბლიკას - პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი.
- გაიმართა პოლიტიკური კონსულტაციები თურქეთთან და სომხეთთან.
- 2014 წელს ახალი განზომილებები შეიძინა სამმხრივმა თანამშრომლობამ (საქართველო-აზერბაიჯანი-თურქეთი):
  - საქართველომ უმასპინძლა პირველ სამმხრივ სამიტს პრეზიდენტების დონეზე;
  - პირველად შედგა საქართველოს, აზერბაიჯანისა და თურქეთის თავდაცვის მინისტრების შეხვედრა სამმხრივ ფორმატში;
  - ბაქოში და ბათუმში გაიმართა პარლამენტების საგარეო ურთიერთობათა კომიტეტების სამმხრივი შეხვედრები.

ვიზიტებისა და კონსულტაციების შედეგად:

- საქართველოსა და თურქეთს შორის შეთანხმდა თანამშრომლობის ახალი მექანიზმის - მაღალი დონის სტრატეგიული თანამშრომლობის საბჭოს შექმნა;
- თურქეთის განათლების სამინისტრომ დაამტკიცა თურქეთის სკოლებში ქართული ენის სწავლების პროგრამა. გადაწყვეტილება ისტორიულია - თურქეთში მცხოვრებ მრავალრიცხოვან ისტორიულ დიასპორას, 4 საუკუნის განმავლობაში პირველად მიეცემა საშუალება შეისწავლოს ქართული ენა;
- ხელი მოეწერა შეთანხმებებს „საქართველოს მთავრობასა და სომხეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის ტურიზმის სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ და „საქართველოს მთავრობასა და სომხეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის საიდუმლო ინფორმაციის გაცვლისა და ორმხრივად დაცვის შესახებ“.

საქართველოს მიერ 2014 წლის განმავლობაში რუსეთთან ურთიერთობის დეესკალაციის მიმართულებით გადადგმული კონსტრუქციული ნაბიჯებისა და ძალისხმევის მიუხედავად, მასთან პოლიტიკურ ასპექტში, სამწუხაროდ, პროგრესი ვერ იქნა მიღწეული. რუსეთი, სავაჭრო-ეკონომიკურ და კულტურის სფეროებში ურთიერთობების ფონზე, კვლავ განაგრძობდა დესტრუქციულ ქმედებებს, მათ შორის:

- საოკუპაციო ხაზის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობის გატაცებას; მავთულხლართების აღმართვას ცხინვალის რეგიონის საოკუპაციო ხაზის გასწვრივ, რიგ შემთხვევებში - საქართველოს ცენტრალური მთავრობის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზეც; ადამიანის უფლებების სისტემატურ დარღვევას;
- 2014 წლის 24 ნოემბერს ქ. სოჭში რუსეთმა და სოხუმის საოკუპაციო რეჟიმმა ხელი მოაწერეს ე.წ. ხელშეკრულებას „მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ“, რომელიც საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ არის მიმართული.

2014 წელი განსაკუთრებით გამოირჩეოდა ევროპის ქვეყნებთან თანამშრომლობის გაღრმავებით



ევროპის ქვეყნებიდან საქართველოში განხორციელდა უმაღლესი და მაღალი დონის ვიზიტების უპრეცედენტო რაოდენობა - 50-მდე ვიზიტი.

საქართველოს ეწვივნენ:

- ავსტრიის რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს მეორე პრეზიდენტი, ევროპის, ინტეგრაციისა და საგარეო საქმეთა მინისტრი, ეროვნულ საბჭოში ავსტრია-საქართველოს მეგობრობის ჯგუფის წევრები;
- ბულგარეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი;
- გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა ფედერალური მინისტრი (2-ჯერ);
- დიდი ბრიტანეთის და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს საგარეო და თანამეგობრობის საქმეთა სახელმწიფო მდივანი, ევროპულ საქმეთა მინისტრი, პარლამენტარები, უელსის ეროვნული კრების თავმჯდომარე;
- დანიის სამეფოს საგარეო საქმეთა მინისტრი (2-ჯერ);
- ესტონეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი;
- ლატვიის რესპუბლიკის პრეზიდენტი, საგარეო საქმეთა მინისტრი (2-ჯერ);
- მალტის რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარე, საგარეო საქმეთა მინისტრი;
- რუმინეთის პრემიერ-მინისტრი;
- საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი, საგარეო საქმეთა მინისტრი;
- სლოვაკეთის რესპუბლიკის ვიცე პრემიერ-მინისტრი, საგარეო და ევროპულ საქმეთა მინისტრი;
- უნგრეთის საგარეო და ვაჭრობის მინისტრი (2-ჯერ);
- ფინეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი;
- შვედეთის სამეფოს საგარეო საქმეთა მინისტრი;
- შვეიცარიის კონფედერაციის პრეზიდენტი და საგარეო საქმეთა მინისტრი, პარლამენტში საქართველოსთან მეგობრობის ჯგუფის ხელმძღვანელი;
- ჩეხეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი.
- წმიდა საყდრის სახელმწიფოებთან ურთიერთობების მდივანი, ქრისტიანთა ერთობის ხელშეწყობის საბჭოს პრეზიდენტი;

გაიმართა საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენელთა უმაღლესი და მაღალი დონის ვიზიტები:

- ავსტრიის რესპუბლიკას სტუმრობდა პრეზიდენტი და საგარეო საქმეთა მინისტრი (2-ჯერ);
- ბელგიის სამეფოს - პრემიერ-მინისტრი (2-ჯერ);
- გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას - პრემიერ-მინისტრი (2-ჯერ) და საგარეო საქმეთა მინისტრი (2-ჯერ);
- გაერთიანებულ სამეფოს - საგარეო საქმეთა მინისტრი (2-ჯერ);
- ესტონეთის რესპუბლიკას - პრეზიდენტი;
- მოლდოვის რესპუბლიკას - პარლამენტის თავმჯდომარე;
- პოლონეთის რესპუბლიკას - პრეზიდენტი;
- რუმინეთს - საგარეო საქმეთა მინისტრი;
- საბერძნეთის რესპუბლიკას - საგარეო საქმეთა მინისტრი;
- უკრაინას - პრეზიდენტი;
- უნგრეთს - საგარეო საქმეთა მინისტრი;
- შვეიცარიის კონფედერაციას - პარლამენტის თავმჯდომარე;
- ჩეხეთის რესპუბლიკას - პრეზიდენტი, საგარეო საქმეთა მინისტრი.
- წმიდა საყდარს - პარლამენტის თავმჯდომარე;

- საქართველოს ეწვია 8 ევროპული ქვეყნის - ავსტრიის, ბელარუსის, გერმანიის, დიდი ბრიტანეთის და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს, ლატვიის, საფრანგეთის, შვეიცარიის, ჩეხეთის რესპუბლიკის ბიზნესდელეგაციები.
- გაიმართა პოლიტიკური კონსულტაციები: ესტონეთთან, კვიპროსთან, ლატვიასთან, მოლდოვასთან (ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის თემაზე), სლოვენიასთან, უკრაინასთან (2-ჯერ, მათ შორის ევროინტეგრაციის საკითხზე) და ჩეხეთთან.
- ავსტრიასთან, გერმანიასთან, ლატვიასთან, საფრანგეთთან და შვეიცარიასთან გაიმართა ორმხრივი ბიზნესფორუმები, ბიზნესწრეების მონაწილეობით.
- პოლონეთთან, უნგრეთთან და ჩეხეთთან შედგა ორმხრივი ეკონომიკური კომისიის სხდომები.

ვიზიტები და კონსულტაციები იყო მტკიცე მხარდაჭერის გამოხატულება საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური მისწრაფებების, ტერიტორიული მთლიანობისა და ოკუპირებული ტერიტორიების არაღიარების პოლიტიკისადმი. შედეგად კიდევ უფრო გაღრმავდა ევროპის ქვეყნებთან ორმხრივი თანამშრომლობა:

- დიდი ბრიტანეთის და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოსთან შედგა ორმხრივი პოლიტიკური დიალოგის - „უორდროპის დიალოგის“ ინაუგურაცია;
- გაიხსნა სლოვაკეთის რესპუბლიკის საელჩო თბილისში;
- სლოვაკეთის მხარის ინიციატივით, ევროინტეგრაციის საკითხებში გამოცდილების გაზიარების მიზნით, ქართველმა დიპლომატმა გაიარა სასწავლო პრაქტიკა სლოვაკეთის საგარეო უწყებაში;

- გაგრძელდა უკრაინის მხარდაჭერა, როგორც პოლიტიკურ დონეზე, ასევე ჰუმანიტარული კუთხით:
  - საქართველოს ხელისუფლებამ, მათ შორის, საგარეო საქმეთა სამინისტრომ, უკრაინაში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით, გააკეთა უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის მხარდამჭერი და ოკუპაციის დამგმობი არაერთი განცხადება;
  - საქართველო უკრაინას დაეხმარა სამედიცინო აღჭურვილობითა და მედიკამენტებით;
  - ანაკლიაში უმასპინძლა უკრაინაში განვითარებული მოვლენების შედეგად დაზარალებული უკრაინელი ახალგაზრდების ჯგუფს.
- უკრაინასა და მოლდოვასთან მიმდინარეობდა გამოცდილების ურთიერთგაზიარება, როგორც ევროინტეგრაციის სფეროში, ასევე წარმატებულად განხორციელებული რეფორმების კუთხით;
- საფუძველი ჩაეყარა საქართველოს ცალკეული რეგიონებისა და მუნიციპალიტეტების თანამშრომლობას შვეიცარიის კონფედერაციის კანტონებთან.
- ხელი მოეწერა:
  - „საქართველოს მთავრობასა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას შორის შეთანხმებას ორგანიზებული დანაშაულის, ტერორიზმისა და სხვა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“;

  - „საქართველოსა და დანიის სამეფოს შორის შეთანხმებას უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ“;
  - „საქართველოს მთავრობასა და დანიის სამეფოს მთავრობას შორის ურთიერთგაგების მემორანდუმს ენერგეტიკის სფეროში თანამშრომლობის შესახებ“;
  - „საქართველოსა და ლატვიის საგარეო საქმეთა სამინისტროებს შორის თანამშრომლობის ოქმს“;
  - „საქართველოს და ლატვიის სოფლის მეურნეობის სამინისტროებს შორის ურთიერთგაგების მემორანდუმს“;
  - „საქართველოს მთავრობასა და რუმინეთის მთავრობას შორის შეთანხმებას საიდუმლო ინფორმაციის ორმხრივად დაცვის შესახებ“;
  - საქართველოსა და საფრანგეთს შორის ეკონომიკური სახის ორ სამთავრობათაშორისო და ხუთ კერძო სახის შეთანხმებას, მათ შორის, ხელშეკრულებას საფრანგეთსა და საქართველოს შორის, საქართველოში საფრანგეთის განვითარების სააგენტოს დაფუძნების შესახებ;
  - „საქართველოსა და უნგრეთის ეკონომიკის სამინისტროებს შორის ურთიერთგაგების მემორანდუმს ელექტრონული კომუნიკაციების და საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში თანამშრომლობის შესახებ“;
  - „საქართველოს და შვეიცარიის კონფედერაციას შორის შეთანხმებას ინვესტიციების ხელშეწყობისა და ურთიერთდაცვის შესახებ“;
  - „საქართველოსა და შვეიცარიის კონფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროებს შორის ურთიერთ-გაგების მემორანდუმს თანამშრომლობის შესახებ“;
  - „საქართველოს მთავრობასა და ჩეხეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის შეთანხმებას კულტურის, განათლების, მეცნიერების, ახალგაზრდობისა და სპორტის სფეროებში თანამშრომლობის შესახებ“.

დინამიკურად ვითარდებოდა თანამშრომლობა აზიისა და აფრიკის ქვეყნებთან, ავსტრალიასა და ოკეანეთთან

ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები

- არაბთა გაერთიანებულ საამიროებში განხორციელდა საქართველოს პრემიერ-მინისტრის ვიზიტი.
- შედგა ირანის ისლამური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის ვიზიტი საქართველოში.
- საქართველოსა და ისრაელს შორის განხორციელდა უმაღლესი და მაღალი დონის ვიზიტები და გაიმართა ერთობლივი ეკონომიკური კომისიის პირველი სხდომა:
  - ისრაელს ეწვია საქართველოს პრემიერ-მინისტრი, პარლამენტის თავმჯდომარე, შინაგან საქმეთა მინისტრი, თავდაცვის მინისტრი და სოფლის მეურნეობის მინისტრი;
  - საქართველოს ეწვია ისრაელის სოფლის მეურნეობის მინისტრი, შინაგან საქმეთა მინისტრი, იმიგრანტთა აბსორბციის მინისტრი და საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე.

ვიზიტებისა და კონსულტაციების შედეგად:

- ისრაელის მთავრობამ საქართველოს მოქალაქეებისთვის გააუქმა ისრაელში შესვლაზე სავიზო მოთხოვნა. ეს გადაწყდა ეროვნული პასპორტების მფლობელთათვის უვიზო მიმოსვლის შესახებ სამთავრობათაშორისო ხელშეკრულების ძალაში შესვლამდე;
- გაიხსნა საქართველოს საელჩო საუდის არაბეთის სამეფოში;
- განხორციელდა სამუშაოები 2015 წლისათვის არაბთა გაერთიანებულ საამიროებში საქართველოს საელჩოს გახსნის მიზნით.

ცენტრალური აზიის ქვეყნები

- თურქმენეთთან შედგა:
  - საქართველოს პრეზიდენტის ვიზიტი;
  - პოლიტიკური კონსულტაციები;
  - სამთავრობათაშორისო ეკონომიკური კომისიის სხდომა.
- უზბეკეთის რესპუბლიკასთან გაიმართა:
  - პოლიტიკური კონსულტაციები და სამთავრობათაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობის კომისიის სხდომა.
- ყაზახეთის რესპუბლიკასთან შედგა:
  - საქართველოს პრემიერ-მინისტრის ვიზიტი;
  - პოლიტიკური კონსულტაციები;
  - სამთავრობათაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობის კომისიის მორიგი სხდომა, ბიზნესფორუმი და კონსულტაცია საკონსულო საკითხებთან დაკავშირებით;
  - საქართველოს კულტურის დღეები.
- ყირგიზეთის რესპუბლიკაში შედგა საქართველოს პრეზიდენტის ვიზიტი.

ვიზიტებისა და კონსულტაციების შედეგად:

- საქართველოში გაიხსნა თურქმენეთის საელჩო;
- ხელი მოეწერა თანამშრომლობის პროგრამას საქართველოსა და თურქმენეთის საგარეო უწყებებს შორის;
- დაიგეგმა საქართველოში თურქმენეთისა და ყირგიზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტების ვიზიტები 2015 წელს;
- გადაწყდა ტაჯიკეთთან და ყირგიზეთთან ორმხრივი პოლიტიკური კონსულტაციებისა და სავაჭრო ეკონომიკური თანამშრომლობის სამთავრობათაშორისო კომისიების ფორმატის ამოქმედება;
- გაიზარდა უზბეკეთთან სავაჭრო ბრუნვის მაჩვენებელი;
- ყაზახეთთან შეთანხმდა 2015 წლიდან პირდაპირი ავიარეისების განახლება.

<u>აღმოსავლეთი და სამხრეთი აზიის ქვეყნები</u>

- შედგა ავღანეთის ისლამური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ვიზიტი საქართველოში.
- იაპონიასთან განხორციელდა:
  - საქართველოს პრეზიდენტის, ასევე საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის ვიზიტები;
  - პოლიტიკური კონსულტაციები.
- ინდოეთის რესპუბლიკასთან შედგა:
  - საგარეო საქმეთა მინისიტრის მოადგილის ვიზიტი;
  - სახელმწიფოთაშორისო კომისიის პირველი სხდომა.
- კორეის რესპუბლიკასთან გაიმართა პოლიტიკური კონსულტაციების რაუნდი.
- ტიმორ-ლესტეს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან შედგა:
  - საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის ვიზიტი.
- საქართველოს დელეგაციამ მონაწილეობა მიიღო ტიმორ-ლესტეში გამართულ, პორტუგალიურენოვანი ქვეყნების თანამეგობრობის მორიგ სამიტში.
- ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან განხორციელდა:
  - საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის ვიზიტი;
  - პოლიტიკური კონსულტაციები და სახელმწიფოთაშორისო კომისიის სხდომა.

ვიზიტებისა და კონსულტაციების შედეგად:

- იაპონიასთან ხელი მოეწერა საქართველოს პრეზიდენტისა და იაპონიის პრემიერ-მინისტრის ერთობლივ განცხადებას, რომელიც ნათლად წარმოაჩენს ორი ქვეყნის პარტნიორულ ურთიერთობებს და სხვადასხვა მიმართულებით თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავების პერსპექტივებს;
- იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტომ 2014 წელს დააფინანსა რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტი გარემოს დაცვისა და ჯანდაცვის სფეროებში;
- ბოლო ფაზაში შევიდა მოლაპარაკებები საქართველოსა და იაპონიას შორის დიპლომატიური პასპორტების მფლობელთათვის უვიზო მიმოსვლის შესახებ;

- საქართველოსა და ჩინეთს შორის ხელი მოეწერა შეთანხმებას, რომლის მიხედვით საქართველოდან ყოველწლიურად 20 სტუდენტი დაეუფლება ჩინურ ენასა და სხვადასხვა სპეციალობებს ჩინეთის უმაღლეს სასწავლებლებში;
- საქართველოს ბაზარზე გაიზარდა ჩინური ინვესტიციები, ხოლო ჩინურ ბაზარზე კი - ქართული პროდუქციის, მათ შორის ღვინის ექსპორტი;
- საქართველოსა და კორეის რესპუბლიკას შორის ხელი მოეწერა ორ სამთავრობათაშორისო ხელშეკრულებას საზღვაო ტრანსპორტის სფეროში თანამშრომლობისა და კულტურის, ხელოვნების, სპორტის და ახალგაზრდობის სფეროში თანამშრომლობის შესახებ;
- კორეის ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება საქართველოში დიპლომატიური წარმომადგენლობის გახსნის თაობაზე;
- გადაიდგა ნაბიჯები საქართველოსა და კორეის რესპუბლიკას შორის სამართლებრივი ბაზის სრულყოფისკენ;
- დაიწყო ოთხმხრივი მოლაპარაკებები საქართველოს, ავღანეთის, აზერბაიჯანისა და თურქმენეთის ექსპერტებს შორის, ავღანეთიდან შავ ზღვამდე სატრანსპორტო დერეფნის განვითარების მიზნით;
- საქართველოს საელჩო ინდონეზიაში ოფიციალურად შეუდგა ტიმორ-ლესტეს დიპლომატიურ გადაფარვას. განისაზღვრა ტიმორ-ლესტესთან თანამშრომლობის განვითარების პერსპექტივები და კონკრეტული გეგმები;
- საქართველოს მიენიჭა პორტუგალიურენოვანი ქვეყნების თანამეგობრობის ორგანიზაციაში ასოცირებული წევრის სტატუსი.

<u>ავსტრალია და ოკეანეთის ქვეყნები</u>

- ახალი ზელანდიიდან საქართველოში შედგა, პირველი მაღალი დონის - კერძოდ, საგარეო საქმეთა მინისტრის ვიზიტი.
- პალაუს რესპუბლიკაში შედგა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ვიზიტი, რომელმაც სტუმრის სტატუსით მონაწილეობა მიიღო წყნარი ოკეანის კუნძულოვან სახელმწიფოთა ფორუმის 45-ე სესიაში.
- საქართველოში განხორციელდა ტუვალუს გარემოს დაცვის, საგარეო საქმეთა, შრომის და ვაჭრობის მინისტრის ვიზიტი.

ვიზიტებისა და კონსულტაციების შედეგად:

- ავსტრალიის თანამეგობრობაში საქართველოს საელჩო ოფიციალურად შეუდგა ვანუატუს რესპუბლიკის და სოლომონის კუნძულების დიპლომატიურ გადაფარვას.
- ხელი მოეწერა:
  - თანამშრომლობის დეკლარაციას საქართველოსა და ახალი ზელანდიის საგარეო საქმეთა სამინისტროებს შორის.
  - ტუვალუსთან: ოქმს საკონსულო და დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების თაობაზე და მემორანდუმს თანამშრომლობის შესახებ.

აფრიკის ქვეყნებთან ვიზიტებისა და კონსულტაციების შედეგად:

- საქართველომ დიპლომატიური ურთიერთობები დაამყარა აფრიკის კონტინენტის კიდევ 4 სახელმწიფოსთან - ბენინის რესპუბლიკასთან, სან-ტომე და პრინსიპის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან, ტოგოს რესპუბლიკასთან და ჩადის რესპუბლიკასთან:
  - აფრიკის კონტინენტზე მხოლოდ 2-მდე შემცირდა იმ სახელმწიფოთა რიცხვი, რომლებთანაც საქართველოს ჯერ არ გააჩნია დიპლომატიური ურთიერთობები (ნამიბიის რესპუბლიკა, სვაზილენდის სამეფო).
- ეთიოპიაში საქართველოს საელჩოდან განხორციელდა სეიშელის რესპუბლიკის და სომალის ფედერაციული რესპუბლიკის გადაფარვა; წარიმართა მუშაობა უახლოეს მომავალში კენიის რესპუბლიკისა და ჯიბუტის რესპუბლიკის გადაფარვისთვის;
- სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოდან განხორციელდა ბოტსვანის რესპუბლიკის, მადაგასკარის რესპუბლიკისა და მავრიკის რესპუბლიკის გადაფარვა; განხორციელდა ძალისხმევა უახლოეს პერიოდში ზამბიის რესპუბლიკისა და ზიმბაბვეს რესპუბლიკის გადაფარვისთვის;
- 2014 წელს საქართველომ მონაწილეობა მიიღო „აფრიკის კავშირის“ ფარგლებში ორგანიზებულ სამიტებსა და სხვა გაფართოებული ფორმატის ღონისძიებებში;
- 2014 წელს ჩამოყალიბდა საქართველო-სამხრეთ აფრიკის სავაჭრო პალატა.

გაფართოვდა თანამშრომლობა ამერიკის კონტინენტის ქვეყნებთან

<u>კანადასთან განხორციელდა:</u>

- პოლიტიკური კონსულტაცია;
- ფრანკოფონიის საპარლამენტო ასამბლეის ფარგლებში საქართველოს მუდმივმოქმედი საპარლამენტო დელეგაციის ვიზიტი:
  - საქართველოს დელეგაციამ მონაწილეობა მიიღო პოლიტიკურ საკითხთა კომიტეტის მუშაობასა და ასამბლეის პლენარულ სხდომებში.
- ნატო-ს მინისტერიალის ფარგლებში შედგა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ორმხრივი შეხვედრა კანადის საგარეო საქმეთა მინისტრთან.

ვიზიტები ემსახურებოდა ორმხრივი თანამშრომლობის, მათ შორის საპარლამენტო ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავებას, აგრეთვე მხარდაჭერას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, სუვერენიტეტის, უსაფრთხოებისა და რეგიონული სტაბილურობის უზრუნველყოფისადმი:

- ერთობლივი პროექტები განხორციელდა ერთი მხრივ საქართველოს უნივერსიტეტებსა და მეორე მხრივ ალბერტას, კარლტონის, ტორონტოს უნივერსიტეტებს, კანადის ბრიტანული კოლუმბიის პროვინციის იუსტიციის ინსტიტუტს, ასევე პრინც ედუარდის კუნძულის უნივერსიტეტის ვეტერინარულ კოლეჯს შორის.

<u>ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის აუზის ქვეყნები</u>



- შედგა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ვიზიტი პარაგვაის რესპუბლიკასა და არგენტინის რესპუბლიკაში.
- საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ეწვია ბრაზილიის ფედერაციულ რესპუბლიკას, კუბის რესპუბლიკას და კოლუმბიის რესპუბლიკას, რომლის ფარგლებში გაიმართა პოლიტიკური კონსულტაციები.
- ჰააგაში გამართული ბირთვული უსაფრთხოების სამიტის ფარგლებში, შედგა საქართველოს პრემიერ-მინისტრის შეხვედრა ბრაზილიის ვიცე-პრეზიდენტთან.

ვიზიტებისა და კონსულტაციების შედეგად გადაიდგა ნაბიჯები ორმხრივი პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების შემდგომი განვითარების, მათ შორის საპარლამენტო თანამშრომლობის გაღრმავების მიმართულებით. მნიშვნელოვანია აღინიშნოს:

- არგენტინაში საქართველოს საელჩომ თანამშრომლობა დაიწყო ბელგრანოს, ბუენოს-აირესის, კილმესის, ლა-პლატის და სალვადორის უნივერსიტეტებთან;
- ბრაზილიის ფედერაციულ რესპუბლიკაში საქართველოს ელჩი, ასევე გახდა საქართველოს წარმომადგენელი „კარიბეთის გაერთიანებაში“;
- დაინიშნა საქართველოს საპატიო კონსული გვატემალაში;
- საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ უმასპინძლა ტელეხიდს საქართველოსა და გვატემალის იძულებით გადაადგილებულ ბავშვებს შორის;
- მექსიკის შეერთებული შტატების კონგრესის ორივე პალატაში გაიმართა ქართული კულტურის კვირეულები, რომლის ფარგლებში მოეწყო გამოფენები:
  - “Esplendor de Georgia”, “Georgia Espectacular”.
- მექსიკის ბაჰა კალიფორნიის შტატის გვადალუპეს რეგიონის ღვინისა და ვაზის მუზეუმში გაიმართა საქართველოში ღვინის წარმოების ისტორიისა და ქართული ღვინის კულტურისადმი მიძღვნილი გამოფენა.
- ხელი მოეწერა:
  - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატასა და კოლუმბიის სავაჭრო პალატების კონფედერაციას შორის ურთიერთგაგების მემორანდუმს;
  - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და კოლუმბიის ეროვნულ უნივერსიტეტს შორის თანამშრომ-ლობის შეთანხმებას;
  - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატასა და კუბის სავაჭრო პალატას შორის ურთიერთგაგების მემორანდუმს.

განხორციელდა აქტიური თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან დემოკრატიული რეფორმების წარმატების უზრუნველყოფის, კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების, ოკუპირებულ რეგიონებში უსაფრთხოებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმების შექმნის საქმეში მათი როლის გაზრდის მიმართულებით

2014 წელი მნიშვნელოვანი იყო გაერო-სთან თანამშრომლობის კუთხით:

- საქართველო აქტიურად მონაწილეობდა გაერო-ს ფარგლებში გამართულ ყველა მაღალი დონის ღონისძიებაში:
  - გაერო-ს გენერალური ასამბლეის 69-ე სესიაში;
  - ასამბლეის 69-ე სესიის გენერალურ დებატებში:
    - სესიის ფარგლებში გაიმართა საგარეო საქმეთა მინისტრის 46 ორმხრივი შეხვედრა გაერო-ს უმაღლესი და მაღალი დონის წარმომადგენლებთან და წევრი ქვეყნების საგარეო უწყებათა ხელმძღვანელებთან.
  - ადამიანის უფლებათა საბჭოს 25-ე სესიის მაღალი დონის სეგმენტის მუშაობაში.
- გაერო-ს შტაბ-ბინაში გაიმართა საგარეო საქმეთა სამინისტროს დელეგაციის არაერთი შეხვედრა.
- საქართველოს ეწვია ადამიანის უფლებათა საკითხებში გაერო-ს უმაღლესი კომისარი.

საქართველოს ძალისხმევის შედეგად:

- გაერო-ს გენერალური ასამბლეის 69-ე სესიის ფარგლებში მიიღეს რეზოლუცია „აფხაზეთიდან, საქართველო და ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთი ოსეთი, საქართველო იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ - რეზოლუციის მომხრეთა რიცხვი, 7 ერთეულით, 69-მდე გაიზარდა;
- საქართველო გახდა გაერო-ს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს წევრი 2014-2016 წწ. ვადით;
- საქართველოს წარმომადგენელი აირჩიეს გაერო-ს ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტში 2015-2018 წწ. ვადით;
- საქართველოს საკითხი განიხილეს გაერო-ს უშიშროების საბჭოს შეხვედრაზე:
  - უშიშროების საბჭოს წევრებმა: ავსტრალიამ, აშშ-მ, დიდმა ბრიტანეთმა, ლიტვამ და საფრანგეთმა შეშფოთება გამოთქვეს მოსკოვსა და სოხუმს შორის გაფორმებული ე.წ. „მოკავშირეობისა და სტრატეგიული თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულების“ გამო.

განხორციელდა აქტიური ძალისხმევა საქართველოს საკითხებისადმი ეუთო-ს მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველყოფის მიმართულებით:

- გაიმართა კონსულტაციები ეუთო-ს ინსტიტუტებთან, აღმასრულებელ სტრუქტურებთან და წევრ ქვეყნებთან. მათ შორის:
  - ეუთო-ს სამდივნოსთან და სხვადასხვა ავტონომიურ ინსტიტუტთან;
  - ინტენსიური თანამშრომლობა ეუთო-ს 2014 წლის შვეიცარიის თავმჯდომარეობასთან;
  - საქართველოს პარტნიორ ეუთო-ს წევრ სახელმწიფოებთან.
- საქართველოში განხორციელდა ეუთო-ს თავმჯდომარე ქვეყნის - შვეიცარიის პრეზიდენტის ვიზიტი.

საქართველოს ძალისხმევის შედეგად:

- ეუთო-ს მუდმივი საბჭოს სხდომაზე, საქართველოს მხარდამჭერი განცხადებები გააკეთეს აშშ-ის, ევროკავშირის, კანადისა და ნორვეგიის დელეგაციებმა:
  - მკაცრად გააკრიტიკეს რუსეთის ფედერაციის მიერ, ე.წ. „ხელშეკრულების“ ხელმოწერის ფაქტი;
  - რუსეთს მოუწოდეს, დაიცვას საერთაშორისო სამართლის პრინციპები და შეასრულოს საერთაშორისო ვალდებულებები, მათ შორის შეთანხმება, 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ.

მიმდინარეობდა აქტიური მუშაობა ევროპის საბჭოსთან თანამშრომლობის მიმართულებით:

- თბილისსა და სტრასბურგში განხორციელდა არაერთი მაღალი დონის ვიზიტი. საქართველოს ეწვია:
  - ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი;
  - ადამიანის უფლებათა კომისარი.
- შედგა არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება საქართველოს დელეგაციების მონაწილეობით.

საქართველოს ძალისხმევის შედეგად:

- ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება 2006-2007 წწ. რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს მოქალაქეთა უფლებების დარღვევასთან დაკავშირებით. სასამართლომ რუსეთის ფედერაცია პასუხისმგებელ სახელმწიფოდ ცნო:
  - საქართველოს მოქალაქეების კოლექტიური გამოძევების, მათ მიმართ არასათანადო მოპყრობის; უკანონო დაკავებისა და დაპატიმრების; სამართლებრივი დაცვის საშუალებების არქონის ნაწილში;
  - ევროპულმა სასამართლომ კომპენსაციის ნაწილის განხილვა ერთი წლის ვადით გადადო და ამ ვადაში მხარეებს - საქართველოსა და რუსეთს - კომპენსაციის თაობაზე მორიგების საშუალება მისცა.
- ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა დარღვევის შესახებ (საყურადღებოა, რომ 2009 წლის შემდეგ ამგვარი გადაწყვეტილება პირველად მიიღეს):
  - პირველად გაესვა ხაზი, რომ რუსეთმა დაამონტაჟა მავთულხლართები და სხვა ხელოვნური დაბრკოლებები, რომლებიც, სხვა საკითხებთან ერთად, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დარღვევას იწვევს.
- ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის შეხვედრაზე მიიღეს რეზოლუცია საქართველოს მიერ ეროვნული უმცირესობების ჩარჩოკონვენციის იმპლემენტაციის თაობაზე.

საქართველომ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო პოლიტიკური კონსოლიდაციის გაძლიერებას სუამ-ის ფარგლებში:

- საქართველომ მონაწილეობა მიიღო სუამი-ის ფარგლებში გამართულ ღონისძიებებში:
  - საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს სხდომებში;

- საპარლამენტო ასამბლეის შეხვედრებში;
- სუამ-ის ეროვნულ კოორდინატორთა სხდომებში;
- სუამ-ის დარგობრივი სამუშაო ჯგუფების, ქვეჯგუფებისა და ექსპერტების შეხვედრებში.

- გაიმართა შეხვედრები სუამ-აშშ-ს ფორმატში;
- საქართველოს პარლამენტის წევრებმა, სუამ-ის საპარლამენტო დამკვირვებელთა ჯგუფების ფარგლებში, მონაწილეობა მიიღეს უკრაინაში გამართული საპრეზიდენტო, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების, ასევე მოლდოვის რესპუბლიკაში გამართული საპარლამენტო არჩევნების სადამკვირვებლო პროცესში.

საქართველოს ძალისხმევის შედეგად:

- სუამ-ის მიერ გაკეთდა დამგმობი განცხადებები ცხინვალის რეგიონში/სამხრეთი ოსეთი, საქართველო, გამართულ ე.წ. „საპარლამენტო არჩევნებთან“ და აფხაზეთში, საქართველო, გამართულ ე.წ. „საპრეზიდენტო არჩევნებთან“ დაკავშირებით;
- მიიღეს სუამ-აშშ-ს ერთობლივი განცხადება, რომელშიც კიდევ ერთხელ აისახა მხარდაჭერა სუამ-ის წევრი ქვეყნების სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი;
- განვითარდა თანამშრომლობა საპარლამენტო დონეზე - მოლდოვამ უმასპინძლა სუამ-ის საპარლამენტო ასამბლეის მე-7 პლენარულ სხდომას. სხდომის შემდეგ გაკეთებული, „სუამ-ის საპარლამენტო ასამბლეის, ბალტიის ასამბლეისა და პოლონეთის რესპუბლიკის საპარლამენტო დელეგაციის ერთობლივ განცხადებაში“:
  - ხაზგასმით აღინიშნა სუამ-ის წევრი ქვეყნების ევროპული მისწრაფებების, ასევე, მათი სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი მხარდაჭერა, საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ფარგლებში.

საქართველო თანამშრომლობდა შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციასთან – BSEC-თან:

- საქართველოს დელეგაციები აქტიურად მონაწილეობდნენ:
  - ორგანიზაციის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს სხდომებში;
  - ორგანიზაციის უფროს თანამდებობის პირთა კომიტეტის სხდომებში;
  - BSEC-ის ფარგლებში არსებული სამუშაო ჯგუფების შეხვედრებში;
  - BSEC-ის საპარლამენტო ასამბლეის მუდმივი კომიტეტის ერთობლივ შეხვედრებში;
  - შავი ზღვის კვლევების საერთაშორისო ცენტრის დირექტორთა საბჭოს მუშაობაში.
- საქართველოს პრეზიდენტი შეხვდა BSEC-ის მუდმივმოქმედი საერთაშორისო სამდივნოს გენერალურ მდივანს.

კიდევ უფრო გააქტიურდა მუშაობა ეკონომიკური დიპლომატიის მიმართულებით

- თბილისში გაიმართა 17 ბიზნესფორუმი და 6 ორმხრივი სავაჭრო-ეკონომიკური სამთავრობათაშორისო კომისიის სხდომა, მათ შორის, საგარეო უწყება აქტიურად მონაწილეობდა თბილისში გამართული საერთაშორისო საინვესტიციო კონფერენციების: „Georgia-EU International Investors Conference“ და “Georgia – Regional Hub and Asia’s Gateway to Europe” ორგანიზებაში;

- საქართველოს ეწვია 16 ქვეყნის, მათ შორის: ავსტრიის (3-ჯერ), აშშ-ს (2-ჯერ), ბელარუსის (2-ჯერ), გერმანიის (4-ჯერ), ეგვიპტის, იაპონიის (3-ჯერ), ინდოეთის, ისრაელის, კორეის რესპუბლიკის (2-ჯერ), ლატვიის, ლიბანის, ლიტვის, უკრაინის, კატარის, შვეიცარიისა და ჩეხეთის ბიზნესდელეგაციები;
- მიმდინარეობდა აქტიური თანამშრომლობა 100-ზე მეტ საერთაშორისო ორგანიზაციასთან;
- განხორციელდა კოორდინირება საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატასა და საზღვარგარეთის ქვეყნების სავაჭრო-სამრეწველო პალატებს შორის ორმხრივი ურთიერთგაგების მემორანდუმების გაფორმების უზრუნველსაყოფად:
  - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატა გაწევრიანდა:
    - სავაჭრო-სამრეწველო პალატების საერთაშორისო გაერთიანებაში და სავაჭრო-სამრეწველო პალატების მსოფლიო ფედერაციაში.
  - 2014 წელს სავაჭრო-სამრეწველო პალატებს შორის ორმხრივი ურთიერთგაგების მემორანდუმები გაფორმდა: ავსტრიასთან, ბელარუსთან, ეგვიპტესთან, ისრაელთან, ინდოეთთან, კოლუმბიასთან, კუბასთან, ლატვიასთან, მონღოლეთთან, ტუნისთან და უკრაინასთან;
  - აღიკვეთა საოკუპაციო რეჟიმების ე.წ. სავაჭრო წარმომადგენლების მიერ საზღვარგარეთ უკანონო კავშირების დამყარების არაერთი შემთხვევა.
- ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის შესაძლებლობების ამოქმედების ხელშეწყობის მიზნით, ევროკავშირის დახმარების ფარგლებში, საქართველოს გამოეყო 51 მლნ. ევრო;
- საქართველოს მთავრობის ხელშეწყობით, ქართული კომპანიები მონაწილეობდნენ განჯაში, დუსელდორფში, თესალონიკში, კრაკოვში, ლონდონში, პეკინში, სან-პაულოში, ჰონგ-კონგში ორგანიზებულ საერთაშორისო გამოფენებში;
- აქტიურად ხორციელდება ანაკლიის ახალი პორტის პროექტის პოპულარიზაცია. შედეგად, პროექტის განხორციელებაში ჩართვით დაინტერესება უკვე გამოხატეს ამერიკულმა, გერმანულმა და ჩინურმა კომპანიებმა;
- წარიმართა მუშაობა აბრეშუმის ისტორიული გზის გააქტიურების მიმართულებით:
  - შემუშავდა კონცეფცია, რომელიც ითვალისწინებს: (1) აბრეშუმის ისტორიული გზის მარშრუტის ფარგლებში, ტრანსპორტის, ენერგეტიკის, ვაჭრობისა და ადამიანთა შორის კონტაქტების სფეროებში ევრაზიის რეგიონის ქვეყნებს შორის ურთიერთობების გააქტიურებას; (2) ყოველწლიური მაღალი დონის კონფერენციის - „Tbilisi Silk Road Forum“ დაარსებას, რომლის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებს ევრაზიის რეგიონის ყველა დაინტერესებული ქვეყანა.
- საგარეო საქმეთა სამინისტრო აქტიურად მონაწილეობდა ავღანური მხარის მიერ ინიცირებული ახალი სატრანსპორტო დერეფნის პროექტზე, რომელიც ითვალისწინებს ავღანეთს, თურქმენეთს, აზერბაიჯანს, საქართველოსა და თურქეთს შორის ტრანზიტის, ტრანსპორტისა და ვაჭრობის საკითხებზე თანამშრომლობას. გაგრძელდა მუშაობა შესაბამისი ხუთმხრივი მთავრობათაშორისი ხელშეკრულების გაფორმების მიმართულებით;
- ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის (ისლანდია, ლიხტენშტეინი, ნორვეგია, შვეიცარია) საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე მიიღეს გადაწყვეტილება - მხარეთა მიერ შეთანხმებულ ვადებში - საქართველოსთან თავისუფალი სავაჭრო ზონის ჩამოყალიბების საკითხზე მოლაპარაკებების დაწყების თაობაზე;

- შეიქმნა უწყებათაშორისი საკოორდინაციო ჯგუფი, რომლის ფარგლებში მიმდინარეობდა მუშაობა საქართველო-აშშ-ს ეკონომიკური თანამშრომლობის, მათ შორის აშშ-სთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების გაფორმების თაობაზე მოლაპარაკებების დასაწყებად;
- საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან კოორდინირებით, საგარეო საქმეთა სამინისტრომ უზრუნველყო მედიატურების ორგანიზება აზერბაიჯანის, ბელარუსის, ისრაელის, იტალიის, სამხრეთ კორეის, ყაზახეთის მასმედიის წარმომადგენლებისათვის;
- საგარეო საქმეთა სამინისტრო ახორციელებდა ეფექტიან კოორდინირებას ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო პროექტის მონაწილე მხარეებს შორის, სარკინიგზო ხაზის კონკურენტუნარიანობისა და პოტენციალის წარმოჩენის მიზნით;
- საგარეო საქმეთა სამინისტროს ცენტრალურმა აპარატმა საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების მეშვეობით მიიღო და შესაბამის უწყებებს მიაწოდა 100-მდე ბიზნესწინადადება, რომელთაგან 24-მა ორმხრივი დაინტერესება გამოიწვია;
- აშშ-ის მთავრობის ხელშეწყობით დაიწყო ეკონომიკური დიპლომატიის მიმართულებით მომუშავე თანამშრომლების გადამზადება, რათა უახლოეს მომავალში სრულად შეივსოს საქართველოს საელჩოები ეკონომიკური პროფილის დიპლომატებით;
- მომზადდა გზამკვლევი „საქართველოს საერთაშორისო ეკონომიკური დიპლომატია".

მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა კულტურული დიპლომატიის მიმართულებით

ქართული კულტურის წარმოჩენის მიზნით განხორციელდა:

- რამდენიმე მსხვილმასშტაბიანი პროექტი - ქართული კულტურისა და კულინარიის დღეები; არაერთი ფოტოგამოფენა, კინოჩვენება და კონცერტი. მათ შორის:
  - აშშ-ს თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში - "MoMA" გაიხსნა ქართული ფილმების რეტროსპექტივა, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში ქართული კინემატოგრაფიის პოპულარიზაციის მიზნით განხორციელებული ყველაზე მასშტაბური პროექტია;
  - ბოდეს მუზეუმში გაიმართა საქართველოს მთავრობისა და პრუსიის კულტურული მემკვიდრეობის ფონდის ერთობლივი პროექტების განხორციელების საზეიმო აღნიშვნისადმი მიძღვნილი მიღება. ღონისძიებაზე საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს საზეიმოდ გადასცა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცული, დაზიანებული გერმანული წიგნების რამდენიმე ეგზემპლარი;

  - ბერლინის ევროპულ კულტურათა მუზეუმში ჩატარდა საქართველოს კულტურის დღეები;

- თურქეთის სკოლებში ქართული ენის სწავლების პროგრამის დამტკიცებაში და მის განხორციელებაში შეტანილი წვლილისთვის საქართველოს სახელმწიფო ჯილდოები გადაეცა თურქეთში ქართული დიასპორის სამ წარმომადგენელს;
- ქართული ენა წარმოდგენილი იყო რამდენიმე მნიშვნელოვან ღონისძიებაზე, მათ შორის: ენების საერთაშორისო ფესტივალზე (აშშ), ლინგვისტურ-კულინარიულ ატელიეზე (საფრანგეთი), ქართული ენის კვირეულზე (სომხეთი), ენების ევროპული დღის აღსანიშნავ ღონისძიებებზე ავსტრიაში, ლიტვაში, ფინეთსა და შვედეთში;
- ამოქმედდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შექმნილი - ქართულის, როგორც უცხო ენის სასწავლო ვებგვერდი (www.geofl.ge), რომელიც განთავსდა საქართველოს დიპლომატიური მისიების ვებგვერდებზე და ხელმისაწვდომია ქართული ენის შესწავლის მსურველთათვის;
- მსოფლიოს რამდენიმე ბიბლიოთეკაში გაიხსნა ქართული კუთხე და ახალი გამოცემებით შეივსო უკვე არსებული ქართული სექციები ავსტრიაში, ბულგარეთში, გვატემალაში, ეგვიპტეში, იაპონიაში, ლატვიაში, მალაიზიაში, პორტუგალიაში, საბერძნეთში, საფრანგეთში, კორეაში, სლოვაკეთში, ფილიპინებში, შვედეთსა და შვეიცარიაში;
- საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნულ ცენტრთან მჭიდრო თანამშრომლობით შეიქმნა თანამედროვე ქართული ფილმების ვიდეოთეკა;
- ქართული კინოს დღეები გაიმართა მრავალ ქვეყანაში, მათ შორის: ბრაზილიაში, დიდ ბრიტანეთში, თურქეთში, იტალიასა და მექსიკაში;
- საქართველოს თემატიკაზე გაიმართა ფოტოგამოფენები: ავსტრალიაში, ბელარუსში, დანიაში, ესტონეთში, ლატვიაში, ლიტვაში, მექსიკაში, კორეაში, სლოვაკეთში, უზბეკეთში, ყაზახეთში და შვეიცარიაში.

- საგარეო საქმეთა სამინისტრომ, 2014 წელს, პირველად, დააფინანსა საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი 15 მცირებიუჯეტიანი კულტურული პროექტი, მათ შორის, ჯორჯ ბალანჩინისადმი მიძღვნილი საღამო და ელისაბედ კენდელის წიგნის „Balanchine and the lost Muse" პრეზენტაცია (აშშ), ქართული დამწერლობისადმი მიძღვნილი გამოფენა (ეგვიპტე), ქართული ფილმის ჩვენება (შვეიცარია).
- UNESCO-სთან თანამშრომლობის ფარგლებში გაიმართა მრავალი ღონისძიება. მათ შორის:
  - UNESCO-ს ჯაზის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კონცერტი;
  - საერთაშორისო კონფერენცია თემაზე - „მსოფლიო მემკვიდრეობა და მდგრადი განვითარება";
  - პირველად საქართველოს ისტორიაში, გამოჩენილ ქართველ პიანისტს, ქ-ნ ელისო ბოლქვაძეს მიენიჭა წოდება „UNESCO-ს ხელოვანი მშვიდობისთვის".

განხორციელდა ძალისხმევა საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეების უფლებებისა და ინტერესების უკეთ დაცვის მიზნით

- 2014 წლის განმავლობაში საკონსულო საქმიანობის სფეროში მოხდა 20-მდე საკანონმდებლო და ნორმატიული აქტის ინიცირება. მათ შორის:
  - ლიბერალური სავიზო პოლიტიკიდან დაბალანსებულ სავიზო პოლიტიკაზე ეტაპობრივი გადასვლისა და ქვეყანაში შემოსულ უცხოელთა ნაკადის გაუმჯობესებული მექანიზმებით მართვის მიზნით, შემუშავდა საქართველოს ახალი კანონი, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“, რომელიც ძალაში შევიდა მიმდინარე წლის პირველი სექტემბრიდან.
- საზღვარგარეთ საკონსულო ფუნქციების ეფექტიანად განხორციელების მიზნით, 2014 წელს ფაქტობრივად დასრულდა საკონსულო საქმიანობის მართვის ელექტრონულ სისტემაზე გადასვლა:
  - ჩაირთო მომსახურების გაწევასთან დაკავშირებით არსებული ყველა მოდული, მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი - მოქალაქეთათვის საკონსულო მომსახურების ონლაინ რეგისტრაციის კომპონენტი.
- ევროკავშირსა და საქართველოს შორის რეადმისიის ხელშეკრულების განხორციელების მიზნით, ქართველმა ექსპერტებმა შეიმუშავეს რეადმისიის მართვის ელექტრონული სისტემა. ავსტრია, ბელგია, ბულგარეთი, გერმანია, პოლონეთი, რუმინეთი და საბერძნეთი უკვე იყენებენ რეადმისიის ელექტრონულ პროგრამას. ამჟამად მიმდინარეობს შესაბამისი პროცედურები ევროკავშირის სხვა წევრი სახელმწიფოების აღნიშნულ პროგრამაში ჩართვის მიზნით.
- სავიზო პროცედურების გასამარტივებლად დაინერგა სიახლეები:
  - სამინისტროს ვებგვერდზე განთავსდა დეტალური ინფორმაცია ვიზის მისაღებად საჭირო დოკუმენტებისა და პროცედურების შესახებ;
  - დაინერგა სავიზო ანკეტების შევსების ელექტრონული სისტემა და ელექტრონული ვიზის ელ. ფოსტის მეშვეობით გაცემა;
  - შემუშავდა ვიზის ახალი ბლანკი, რომელიც შესაბამისობაშია სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის სტანდარტებთან;
  - მიმდინარე წლის განმავლობაში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შესაბამისად, საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საკონსულო დაწესებულებებში სრულად ჩანაცვლდა არაბიომეტრიული მონაცემების შემცველობის პასპორტები, ბიომეტრიული მონაცემების შემცველობის პასპორტებით, რაც ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია.
- საქართველოს მოქალაქეთა მიმოსვლის გასამარტივებლად განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:
  - დასრულების სტადიაზეა ვიზების გაცემის პროცედურის გამარტივების შეთანხმება ნორვეგიასთან;
  - განხილვის პროცესშია უვიზო მიმოსვლის საკითხის შეთავაზება 8 სახელმწიფოსთან;
  - შეთანხმებულია სამსახურებრივი პასპორტებით უვიზო მიმოსვლის შესახებ ხელშეკრულების პროექტი სლოვენიასთან;
  - 13 სახელმწიფოსთან მიმდინარეობს მოლაპარაკებები, დიპლომატიური და სამსახურებრივი პასპორტების მფლობელთათვის უვიზო მიმოსვლის შესახებ შეთანხმების გასაფორმებლად.
- საპატიო კონსულების ინსტიტუტის გაძლიერების მიზნით, პირველად ქართული დიპლომატიის ისტორიაში, თბილისში გაიმართა საქართველოს საპატიო კონსულების შეკრება;

- საქართველოსა და ევროპის სხვა ქვეყნებს შორის სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის პროცესის ფარგლებში მიგრაციული პროცესების მართვისა და სავიზო პოლიტიკის სფეროში განხორციელებული სიახლეების გაცნობის მიზნით, გაიმართა საქართველოს საკონსულო თანამდებობის პირთა შეკრება - „კონსულარიუმი“;
- დახმარება გაეწია სხვადასხვა სახელმწიფოს დროშის ქვეშ მცურავ გემებზე ეკიპაჟის წევრ, საქართველოს 15 მოქალაქეს, დამქირავებელ კომპანიებთან არსებული პრობლემური საკითხების გადასაჭრელად. ასევე ერაყში, ქ. მოსულის აეროპორტში მომუშავე საქართველოს 25 მოქალაქეს, რომლებსაც საფრთხე შეექმნათ ერაყში განვითარებული საომარი მოქმედებების შედეგად;
- არალეგალური მიგრაციის და ადამიანით ვაჭრობის საფრთხეების შესახებ საქართველოს მოქალაქეების ცნობიერების დონის ასამაღლებლად, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის საქართველოს წარმომადგენლობის ფინანსური მხარდაჭერით შეიქმნა საინფორმაციო ბროშურები, რომლებიც გავრცელდა საზღვარგარეთ, ადგილსამყოფელ ქვეყნებში საქართველოს საკონსულო სამსახურების მეშვეობით, ასევე - საქართველოს სასაზღვრო გამშვებ პუნქტებზე. ინფორმაცია განთავსდა სამინისტროს და საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების/საკონსულო დაწესებულებების ვებგვერდებზე.

საგარეო უწყების საქმიანობისა და საომომავლო გეგმების დასახვის მიზნით, თბილისში გაიმართა საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების ხელმძღვანელთა ყოველწლიური შეხვედრა – „ამბასადორიალი“

მიმდინარეობდა მუშაობა საგარეო უწყების ინსტიტუციური განვითარების მიმართულებით

- 2014 წელს გაიხსნა საქართველოს საელჩო საუდის არაბეთის სამეფოში;
- გაიზარდა საქართველოს საელჩოთა აკრედიტაციის ქვეყნების რაოდენობა. კერძოდ:
  - ავსტრალიის თანამეგობრობაში საქართველოს საელჩოს აკრედიტაციის ქვეყნებს დაემატა ვანუატუს რესპუბლიკა და ტუვალუ;
  - ბრაზილიის ფედერაციულ რესპუბლიკაში - ტრინიდადის და ტობაგოს რესპუბლიკა;
  - ეთიოპიის ფედერაციულ დემოკრატიულ რესპუბლიკაში - კენიის რესპუბლიკა, სომალის ფედერაციული რესპუბლიკა;
  - ინდონეზიის რესპუბლიკაში - ფილიპინების რესპუბლიკა.
- გადაწყდა 2015 წელს არაბთა გაერთიანებულ საამიროებში საქართველოს საელჩოს, კუბის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს და ქ. დუბაიში საქართველოს გენერალური საკონსულოს გახსნა;
- საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში ცენტრალური აპარატის 11 ვაკანტურ თანამდებობაზე კანდიდატების შერჩევის მიზნით, 2014 წელს გაიმართა კონკურსი.

განხორციელდა ძალისხმევა დიპლომატებისა და საჯარო მოხელეების უწყვეტი პროფესიული განვითარების უზრუნველყოფის მიზნით

- საგარეო საქმეთა სამინისტროს, ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიური სასწავლო ცენტრის მიერ 2014 წელს სულ გადამზადდა 387 საჯარო მოხელე და დიპლომატი: 213 საგარეო საქმეთა სამინისტროს, ხოლო 174, სხვა უწყებების წარმომადგენლები.
- სასწავლო ცენტრის ორგანიზებით 2014 წელს განხორციელდა:
  - 1 გრძელვადიანი კურსი - „საკონსულო თანამდებობის პირის დასანიშნად სავალდებულო სპეციალური სასწავლო პროგრამა“;
  - 24 მოკლევადიანი სასწავლო კურსი/სემინარი;
  - 3 საჯარო ლექცია;
  - 4 უცხო ენის: ესპანურის, ინგლისურის, პორტუგალიურის და ფრანგულის შემსწავლელი კურსები;
  - პროგრამები უცხოელი დიპლომატებისთვის.

- ხელი მოეწერა ურთიერთგაგების მემორანდუმს საზღვარგარეთის 2 წამყვან დიპლომატიურ აკადემიასთან - ესტონეთის დიპლომატიურ სკოლასთან და თურქეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს დიპლომატიურ აკადემიასთან - და 3 ადგილობრივ ორგანიზაციასთან - გეოპოლიტიკური კვლევების საერთაშორისო ცენტრთან, ენის სკოლასა და საქართველოს სომელიეთა ასოციაციასთან არსებულ თბილისის ღვინის სკოლასთან.
- ადამიანის უფლებების საკითხზე გაერო-ს ხელშეკრულებებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების პროცესის გაუმჯობესების, კერძოდ, სახელმწიფო ანგარიშების მოსამზადებლად ხელისუფლების ყველა შტოს წარმომადგენლის მონაწილეობით შექმნილი სამუშაო ჯგუფისთვის ტრენინგების გამართვის მიზნით გაერო-ს განვითარების პროგრამასთან ხელი მოეწერა 44,650 აშშ დოლარის ღირებულების ხელშეკრულებას. მის საფუძველზე წელს განხორციელდა ორი გასვლითი სახის ღონისძიება.

2014 წელს კიდევ უფრო ინტენსიური გახდა თანამშრომლობა საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსთან

საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური მისიების მონაწილეობით, საგარეო საქმეთა სამინისტროს ორგანიზებით/თანაორგანიზებით გაიმართა არაერთი ღონისძიება:

- სამინისტრომ მოაწყო 2 კულტურული ღონისძიება სამცხე-ჯავახეთსა და კახეთში. სამცხე-ჯავახეთში გამართულ შემეცნებით ტურში პირველად მიიღეს მონაწილეობა არარეზიდენტმა ელჩებმაც;
- შიდა ქართლის საოკუპაციო ხაზის გასწვრივ მდებარე საჯარო სკოლების მოსწავლეთათვის გაიმართა „ღია კარის დღე - ვეცნობით მსოფლიოს“ და საახალწლო საღამო;
- გაიმართა მინიფეხბურთის ტურნირი - „დიპლომატიური თასი 2014“;
- ევროპის საჭადრაკო კავშირის საპრეზიდენტო არჩევნებში ქართველი მოჭადრაკის მხარდასაჭერად მოეწყო ჭადრაკის ტურნირი;
- შედგა პირველი დიპლომატიური პროტოკოლის გზამკვლევის პრეზენტაცია;
- გაიმართა დიპლომატის დღისადმი მიძღვნილი მიღება;

- შეიქმნა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს „ცხელი ხაზი“, რომელიც დიპლომატიური საქმიანობისას აღმოჩენილი შეფერხებებისა, თუ სხვა დაბრკოლებების აღმოფხვრის მიზნით, 24-საათიან რეჟიმში უზრუნველყოფს დიპლომატიური კორპუსის კავშირს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან და მისი მეშვეობით, სხვა სამთავრობო უწყებებთან.

საზოგადოებასთან ეფექტიანი კომუნიკაციის დასამყარებლად, მიმდინარეობდა აქტიური თანამშრომლობა მედიასთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან

- 2014 წელს დასრულდა მუშაობა თანამედროვე სტანდარტების მიხედვით შექმნილ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ახალ ვებგვერდზე, რომელსაც პირველად საქართველოში, მხედველობის დარღვევის მქონე პირთათვის გააჩნია სპეციალური ფუნქციები. გარდა ამისა, მოხდა ვებგვერდის სრული ინტეგრაცია საძიებო სისტემებსა და სოციალურ ქსელებთან, რაც ინფორმაციის გავრცელებასა და ფართო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობას შეუწყობს ხელს;
- „ღია მმართველობის” პროგრამის ფარგლებში, მასმედიის წარმომადგენლებთან გაიმართა სამი შეხვედრა;
- შედგა შეხვედრა რეგიონული მედიის წარმომადგენლებთან, რომლის ფარგლებში საგარეო საქმეთა სამინისტრომ საქართველოს ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონების 30-მდე ჟურნალისტს უმასპინძლა;
- გაგრძელდა აქტიური კომუნიკაცია სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლებთან, მათ შორის, შედგა საგარეო საქმეთა მინისტრის შეხვედრა „კავკასიის უნივერსიტეტის“ სტუდენტებთან და სიტყვით გამოსვლა „ახალგაზრდა ამბასადორიალის“ ფარგლებში.



მიმდინარეობდა მუშაობა სახელშეკრულებო ბაზის სრულყოფისა და განვითარების მიმართულებით

- 2014 წელს სახელმწიფოებთან ორმხრივ ფორმატში ხელი მოეწერა 25 საერთაშორისო ხელშეკრულებას;
- ძალაში შევიდა 36 საერთაშორისო ხელშეკრულება;
- ხელი მოეწერა 7 საერთაშორისო საფინანსო ხელშეკრულებას;
- საქართველოს პარლამენტმა მოახდინა 10 საერთაშორისო საფინანსო ხელშეკრულების რატიფიცირება;
- საქართველოსათვის ძალაში შევიდა 5 საერთაშორისო მრავალმხრივი ხელშეკრულება/კონვენცია, მათ შორის დეპონირებულ იქნა 2 საერთაშორისო მრავალმხრივი ხელშეკრულება/კონვენცია;
- საერთაშორისო მრავალმხრივი ხელშეკრულებების სავალდებულოდ აღიარების მიზნით შიდასახელმწიფოებ-რივი პროცედურები დასრულდა 3 კონვენციის/ცვლილების/სავალდებულოდ აღიარებისთვის;
- საქართველომ დიპლომატიური ურთიერთობები დაამყარა 5 ქვეყანასთან: ტუვალუსთან, ტოგოს რესპუბლიკასთან, ჩადის რესპუბლიკასთან, სან-ტომეს და პრინსიპის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან და ბენინის სახალხო რესპუბლიკასთან;
- 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობები აკავშირებს 183 სახელმწიფოსთან.